ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი

მოქალაქის გზამკვლევი

2024 წელი, დეკემბერი

შინაარსი

შესავალი 3

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა 4

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა 7

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები 12

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში 14

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი 16

- ბიუჯეტის შემოსულობები 16
- ნაშთის ცვლილება 20
- ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით 20
  - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 23
  - ინფრასტრუქტურის განვითარება 25
  - დასუფთავება და გარემოს დაცვა 27
  - განათლება 31
  - კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 33
  - მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 37
- ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 41

შესავალი

ბიუჯეტის მგზამკვლევი ეხმარება მოქალაქეს მიიღოს ინფორმაცია მუნიციპალური ბიუჯეტით დაგეგმილი პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ. ბიუჯეტის გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე აღწერას, გვიჩვენებს მათ მიზნობრიობას, დაგეგმილ აქტივობებს სძენს საჯაროობას.

ბიუჯეტის მგზამკვლევი მოიცავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვარიანტის მოკლე აღწერას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილია 15 ნოემბრამდე პერიოდში, რომელიც საკრებულოს შენიშვნების გათვალისწინებით ექვემდებარება გადახედვას და არაუგვიანეს 10 დეკემბრისა საკრებულოში წარდგენას. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერს და წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტის ანგარიშებზე არსებული ნაშტების საპროგნოზო მაჩვენებლებს, რომლების ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა და მის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს.

გზამკვლევში წარმოდგენილი ინფორმაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული წლის მონაცემებით. მასში 2025 წლის საბიუჯეტო მონაცემები შედარებულია გასული 2 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის გზამკვლევში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ, საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებზე და თვითმმართველობების საბიუჯეტო პროცესზე.

გზამკვლევში მოყვანილი 2024 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს eTreasuary სისტემაში 2024 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს. 2024 წლის გეგმიური მაჩვენებლები შესაძლებელია რიგ შემთხვევებში არ ემთხვეოდეს საკრებულოს მიერ დატკიცებული ბიუჯეტის მონაცემებს და განსხვავების მიზეზი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები, რომელთა ასახვა ბიუჯეტის დაზუსტებულ მაჩვენებლებში განხორციელდა 5%-იანი გადანაწილებით წესის მიხედვით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი - სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში, იმერეთის მხარეში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხარაგაული. 1917 წლამდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში. 1921-1929 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის მაზრაში. 1930 წლიდან შეიქმნა ხარაგაულის რაიონი. 1932-1989 წლებში მას ორჯონიკიძის რაიონი ეწოდებოდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ბორჯომის, აღმოსავლეთით ხაშურის, ჩრდილოეთით კი ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ფართობია 913,9 კმ². ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ზღვის დონიდან 400 მეტრზე მდებარეობს.

მანძილი თბილისიდან ხარაგაულამდე 188 კმ, ხოლო რეგიონული ცენტრიდან 59 კმ. მუნიციპალიტეტში ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და თბილი ზაფხული. რაიონის მთავარი მდინარეა ძირულა. მას ბევრი მდინარე ერთვის, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვნი ჩხერიმელა, რომლესაც სათავე აქვს ლიხის ქედის დასავლეთ კალთაზე 1150მ. სიმაღლეზე. იგი მთლიანად მიეკუთვნება ხარაგაულის რაიონს და მისი ტერიტორიის 39 კმ. კვეთს სათავიდან შესართავამდე. მუნიციპალიტეტი მდიდარია ტყეებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს **ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის** ნაწილი. მთისწინეთსა და დაბალ მთებში გავრცელებულია წიფლნარ-რცხილნარი. მასთან ერთად არის წაბლი, მუხა, ცაცხვი, იფანი და სხვა.

მუნიციპალიტეტის მთის ტყეებში ბინადრობს კავკასიური ირემი, მურა დათვი, ფოცხვერი, მელა, მგელი, კვერნა, მაჩვი, დედოფალა. ბევრია კურდღელი. ფრინველებიდან აღსანიშნავია: კავკასიური როჭო, მწყერი, შაშვი, კოდალა, ქორი, ყვავი და სხვა. მდინარეებში გავრცელებულია: ქაშაყი, კოლხური ტობი, ციმორი, კოლხური წვერა, ღორჯო. მდინარეთა ზემო დინებაში არის კალმახი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი ორგანო მერია. მუნიციპალიტეტში არის ერთი საქალაქო (დაბა ხარაგაული) , 16 სასოფლო ადმინისტრაციული ერთეული და 3 სოფელი (ბაზალეთი, ბორითი, ვარძია, ვახანი, ზვარე, კიცხი, ლაშე, ლეღვანი, მოლითი, ნადაბური, სარგვეში, საღანძილე, ფარცხნალი, ღორეშა, წიფა, წყალაფორეთი, ხევი, ხიდარი, ხუნევი), რომელთა შემადგენლობაშიც კიდევ 73 სოფელი შედის. ესენია:

1. დაბა ხარაგაულის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – დაბა ხარაგაული);
2. ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ბაზალეთი, ქროლი, ღარიხევი, წიფი);
3. ბორითის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ამაშუკეთი, ბორითი, ერეთა, ვაშლევი, კვესრევი, მაქათუბანი, საქასრია, უბისა);
4. ვარძიის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ვარძია);
5. ვახანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ვახანი, ზედუბანი, სერბაისი);
6. ზვარის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ზვარე, ნუნისი, ჩრდილი);
7. კიცხის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ბორი, თეთრაწყარო, კიცხი, კიცხის იგორეთი, საქარიქედი);
8. ლაშის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ლაშე, ლაშის იგორეთი, უჩამეთი, ღვერკი, ხემაღალი);
9. ლეღვანის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: დიდვაკე, ლეღვანი, მარელისი, პატარა სახვლარი);
10. მოლითის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ბაბი, ბეჟათუბანი, დეისი, მოლითი, ნებოძირი, ქვები, ჭარტალი);
11. ნადაბურის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: დიდი გოლისი, პატარა გოლისი, ნადაბური);
12. სარგვეშის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: მიროწმინდა, საბე, სარგვეში, ხორითი);
13. საღანძილის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ვანი, ზარანი, საღანძილე, სხლითი, ჩხერი, ჯაფარაული);
14. ფარცხნალის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ახალსოფელი, ისლარი, ფარცხნალი, ღუდუმექედი);
15. ღორეშის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ღორეშა);

16. წიფის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: გოლათუბანი, გუდათუბანი, ფონა, წიფა);
17. წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ლახუნდარა, პატარა ვარძია, ჩალხეეთი, წყალაფორეთი, ხონი);
18. ხევის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: გრიგალათი, ციცქიური, წაქვა, ხევი).
19. ხიდარის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფელი ხიდარი);
20. ხუნევის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია – სოფლები: ბჟინევი, გედსამანია, ვერტყვილა, ვერტყვიჭალა, ხუნევი);

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2024 წლის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 17 900 კაცი ცხოვრობს. სიმჭიდროვეა 9,8 კაცი 1 კმ-ზე, ანუ რაიონი სუსტად არის დასახლებული. განსახლების ძირითადი არეალი ზღვის დონიდან 200_600 მ_ის ფარგლებშია მოქცეული. ყველაზე მაღალი დასახლებული პუნქტებია ფონა და სახვლარი. რომლებიც ზღვის დონიდან. დაახლოებით 1000-1100 მ-მდე მდებარეობენ.

გრაფიკი #1



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია უბისის მონასტერი, IX საუკუნის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც გამოირჩევა XIV საუკუნეში მხატვარ დამიანეს მიერ შესრულებული ფრესკებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეა დევისხვრელისა და კოზმანის მღვიმეები, მელის ციხე, შუა საუკუნეების ვახანისა და ჩხერის ციხეები, სოფელ საქასრიაში დგას წმინდა გიორგის სახელობის IX-X სს, სავანის ეკლესიის ნაშთები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდია: https://kharagaulinews.gov.ge/

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საქართველოს საბიუჯეტო სისტემა არის „საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციების შესასრულებლად, ფულადი სახსრების მობილიზებისა და გამოყენების მიზნით, სამართლებრივი აქტებით რეგულირებული საბიუჯეტო ურთიერთობათა ერთობლიობა“.

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. დღევანდელი მნიშვნელობით ამ ტერმინის გამოყენება ისტორიულ წყაროებში პირველად გვხვდება ინგლისის თემთა პალატაში. როდესაც მთავრობა თემთა პალატას ფულს სთხოვდა, ხაზინის

კანცლერი ხსნიდა პორტფელს (ტომარას), სადაც სახელმწიფო შემოსავალების და ხარჯების ხარჯთაღრიცხვის კანონპროექტი იყო. ამას უწოდებდნენ ბიუჯეტის გახსნას.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა აერთიანებს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს. დღეს მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება შესაბამისი დონის საკანონმდებლო ხელისუფლებების მიერ.

- სახელმწიფო ბიუჯეტი - მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ;
- ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი - მტკიცდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი - მტკიცდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს მიერ.

ბიუჯეტების სიდიდისა და პროპორციის ვიზუალური აღქმისთვის ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკი #2-ზე. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის 84%-ს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი, 1%-ზე ოდნავ მეტია აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ჯამური სიდიდე ნაერთი ბიუჯეტოს 15%-ია, საიდანაც ქ. თბილისის ბიუჯეტი - 6%, ხოლო დანარჩენი 9% ნაწილდება 65 მუნიციპალიტეტზე.

გრაფიკი #2



გზამკვლევში ყურადღებას გავამახვილებთ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტზე. კერძოდ იმ საკითხებზე, თუ რას წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტი, რა როლი უჭირავს მას ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში, რა სახის კავშირი და დამოკიდებულება აქვს თვითმმართველობების ბიუჯეტებს სხვა დონის ბიუჯეტებთან.

თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი, რომელსაც აქვს საკუთარი ადმინისტრაციული საზღვრები. ხოლო, ადგილობრივი თვითმმართელობა არის შესაბამის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეთა უფლება, მათ მიერ არჩეული თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. სწორედ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი წარმოადგენს ამ საკითხების გადაწყვეტის ძირითად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილება არის ის უფლებამოსილება, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს დამოუკიდებლად, საკუთარი პასუხისმგებლობით. ხოლო, დელეგირებული უფლებამოსილება - სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილება, რომელიც შესაბამისი მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობას. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების წყაროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები და სხვა ბიუჯეტიდან მიღებული არასაკუთარი შემოსულობები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება ბიუჯეტის მიერ მიღებული სესხი და გრანტი, აგრეთვე სპეციალური, კაპიტალური და მიზნობრივი ტრანსფერები. ბიუჯეტის ყველა სხვა შემოსულობა წარმოადგენს თვითმმართველობის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობას, რომელთა გამოყენებაც მუნიციპალიტეტს შეუძლია

დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად. სწორედ საკუთარი შემოსულობები და მათი დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მუნიციპალური ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.

თუ ვნახავთ გასული წლების მუნიციპალიტეტების შემოსულობების ნაერთ მაჩვენებლებს გამოჩნდება, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლები სწორედ მისი საკუთარი შემოსულობებია. მაგალითისთვის, 2023 წლისათვის მუნიციპალიტეტების ნაერთ შემოსულობებში საკუთარი შემოსულობების ფაქტიური მაჩვენებელი 56% იყო (გრაფიკი #3).

გრაფიკი #3



გრაფიკ #4-ზე მოცემულია საკუთარი შემოსავლების სტრუქტურა 2023 წლის ფაქტიური შემოსავლების მიხედვით. გრაფიკში მოცემული სხვა შემოსავლების მონაცემი აერთიანებს შემოსავლების საბიუჯეტო კლასიფიკაციის როგორც სხვა შემოსავლებიდან, ასევე, არაფინანსური (კაპიტალური შემოსავლები) და ფინანსური (ძირითადად ნაშთის გამოყენება) აქტივებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში მობილიზებულ თანხებს.

გრაფიკი #4



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების როგორც ფორმირებაზედ ასევე მის სტრუქტურაზე. კერძოდ:

დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორცილდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში, მათ ნაცვლად მუნიციპალიტეტების დასაფინანსებლად მიიმართება დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19,0%.

როგორც მონაცემებიდან ჩანს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილო უჭირავს დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულ შემოსავლებს, რომელმაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, 2019 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ჩაანაცვლა გათანაბრებითი ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი. უნდა აღინიშნოს, რომ გათანაბრებით ტრანსფერთან შედარებით დღგ-მ მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტების შემოსავლები.

მარტივად აღსაქმელად, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლის წყაროები ჩვენ პირობითად შეგვიძლია დავყოთ 3 ნაწილად:

საგადასახადო შემოსავლები - შემოსავლის ეს წყარო მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქონების გადასახადის 100%-ს და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილს, რომლიც გამოთვლაც ხდება სპეციალური ფორმულით სადაც მონაწილეობს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლები; შემოსავლის ეს წყარო მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავალებს მიეკუთვნება.

გრანტები (ტრანსფერები) - საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობების მიერ გამოყოფილ გრანტები. ასევე, სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილ ტრანსფერები. მათ შორის, მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალრ ტრანსფერები (2019 წლიდან აღარ არსებობს გათანაბრებითი სტრანსფერი). შემოსავლის ამ წყაროდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის არასაკუთარ შემოსავლებს მიეკუთვნებათ.

სხვა დანარჩენი შემოსავლები - შემოსავლის ამ წყაროში გავაერთიანეთ ბიუჯეტის სხვა შემოსავლებს მიკუთვნებული შემოსავლები (მაგ. მოსაკრებლები, ჯარიმები, დივიდენდები, ლიცენზისები და ა.შ.), კაპიტალური შემოსავლები (შემოსავლები პრივატიზაციიდან), ფინანსური აქტივების (ნათშის გამოყენება, სესხის დაბრუნება) და ვალდებულებების (საგარეო ან საშინაო სესხის აღება) ცვლილებით მიღებული შემოსავლები. ჩამოთვლილი შემოსავლებიდან მისაღები თანხებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსულობებს მიეკუთვნება საბიუჯეტო კლასიფიკაციით კლასიფიცირებული სხვა შემოსავლები, კაპიტალური შემოსავლები და ფინანსური აქტივების ცვლილებიდან (ძირითად შემთხვევებში ნაშთი) მისაღები თანხები.შემოსავლების ზემოაღნიშნული კლასიფიცირების მიხედვით გრაფიკ #5-ზე მოცემულია 2023 წელს, ჯამურად მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხული თანხები და მათი პროპორცია.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები

საქართველოში დღეს მოქმედი საბიუჯეტო სისტემა რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო ნორმატიული აქტით. სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისთან დაკავშირებული დებულებები ასევე გაწერია საქართველოს კონსტიტუციის მე-6 თავში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობების კოდექსი“-ს მე-5 კარი მთლიანად შედგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ეკონომიკური საფუძვლების დებულებებისაგან. ასევე, ამავე ორგანული კანონის გარდამავალი დებულებები არეგულირებს მუნიციპალიტეტის ფინანსებთან დაკავშირებულ რიგ საკითხებს.

ქვეყანაში საბიუჯეტო მოწყობის ძირითად და საკვანძო საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონით „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-თ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი მიღებული იქნა 2009 წელს და ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვრიდან. საბიუჯეტო

კოდექსმა ბევრ სხვა სიახლესთან ერთად გააერთიანა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მანამდე რამოდენიმე კანონით იყო დარეგულირებული. შედეგად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ამოქმედებისთანავე, სხვა კანონებთან ერთად, გაუქმდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“, „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი შედგება ექვსი კარისაგან. მათ შორის, პირველი, მეორე და მეექვსე კარი საერთოა ბიუჯეტებისთვის და შესაბამისად, ადგენს ნორმებს ყველა დონის ბიუჯეტისთვის. კოდექსის მე-3 კარით დარეგულირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, მე-4 კარი ადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო წესებსა და პროცედურებს, ხოლო მე-5 კარში მოცემულია ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები.

გარდა აღნიშნული საკანონმდებლო აქტებისა ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის შემადგენელი საკანონმდებლო აქტებია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, „სახელმწიფო აუდიტის შესახებ“, „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, „ბურალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, „ყოველწლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონები და სხვა.

საბიუჯეტო სისტემას ასევე არეგულირებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და ამ აქტებით დამტკიცებული მეთოდოლოგიები. საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობისას ყოველწლიურად გამოიცემა კანონქვემდებარე ინდივიდუალური აქტები, რომლებიც გამომდინარეობს შესაბამისი ნორმატიული აქტებიდან.

საბიუჯეტო სისტემის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებიდან უნდა გამოიყოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ და „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“. ეს ორი ბრძანება არეგულირებს როგორც სახელმწიფო დონეზე საბიუჯეტო მოწყობის საკითხებს, ასევე, ავტონომიური და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების წესებსა და პროცედურებს.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით კლასიფიცირდება ბიუჯეტში მისაღები და ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი ნაკადები. დამტკიცებული კლასიფიკაცია ეფუძნება და შესაბამისია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. იგი ერთიანია საქართველოს ყველა დონის ბიუჯეტისათვის. კლასიფიკაციით განსაზღვრულია თუ როგორი ფორმა უნდა ჰქონდეს ბიუჯეტის ბალანსს, მოცემულია დეტალური მეთოდური მითითებები ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების აღრიცხვა-ანგარიშგებისთვის.

ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით შემუშავება ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა 2013 წლიდან. სწორედ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტი შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ ადგენს იმ წესებსა და ფორმას, თუ რა პერიოდში და რა სტრუქტურით უნდა განხორციელდეს წლიური ბიუჯეტის პროექტის მომზადება, დამტკიცება, აღსრულება და ანგარიშგება. მეთოდოლოგია ადგენს როგორც ზოგად დებულებებს, რომლებიც საერთოა ყველა დონის ბიუჯეტისათვის, ასევე ცალ-ცალკე, თითოეული დონის ბიუჯეტისათვის, განსაზღვრავს ბიუჯეტის და მისი პროგრამების შედგენის დეტალურ ფორმატებს.

2018 წელს განახლდა მეთოდოლოგიის ის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო საკითხებს. ჩვენს შემთხვევაში საგულისხმოა სიახლეები რომლებიც დაადგინა განახლებულმა მეთოდოლოგიამ და რომლებიც მუნიციპალიტეტებისათვის სავალდებულო გახდება 2020 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან.

საბიუჯეტო პროცესი თვითმმართველობაში

თვითმმართველობების ბიუჯეტის პროექტის მომზადების, საკანონმდებლო ორგანოსათვის წარდგენის და დამტკიცების პროცედურები რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის XII თავით. ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესს კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანო, რომელიც ამ პროცესში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობითა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული შესაბამისი მეთოდური მითითებებით. მუნიციპალური ბიუჯეტის მომზადების, შედგენის, დამტკიცებისა და ანგარიშგების პროცესის მოკლე აღწერა მოცემულია გრაფიკ #6-ზე.

<u>გრაფიკი #6</u>

არაუგვიანეს 1 მარტისა - იწყება მუშაობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაზე/გადამუშავებაზე
არაუგვიანეს 15 ივლისისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ყველა მუნიციპალიტეტს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრებს
არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს
არაუგვიანეს 15 ნოემბრისა - თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანო ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის პირველად ვარიანტს და განსახილველად შეაქვე საკრებულოში
პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის საკრებულოში წარდგენიდან არაუგვიანეს 5 დღისა საკრებულო პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს აქვეყნებს საჯარო განხილვებისათვის.
არაუგვიანეს 25 ნოემბრისა - შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო ბიუჯეტს გადამუშავებისათვის უბრუნებს აღმასრულებელ ხელისუფლებას
არაუგვიანეს 10 დეკემბრისა - აღმასრლებელი ხელისუფლების მიერ ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებული ვარიანტი საკრებულოს დასამტკიცებლად უბრუნდება არაუგვიანეს
არაუგვიანეს 31 დეკემბრისა საკრებულო, ბიუჯეტის პროექტის დადგენილი წესით განხილვების შემდგომ, ამტკიცებს დასაგეგმი წლის ბიუჯეტს
ბიუჯეტის დამტკიცებიდან 15 დღეში მტკიცდება ბიუჯეტის ყოველთვიური/ყოველკვარტალური განწერა
თვითმმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღეში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიურ ანგარიშს. ხოლო, ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში და წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ამზადებს ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შესრულების ანგარიშებს, რომლებიც წარედგინება საკრებულოს
არაუგვიანეს 1 მაისისა ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საჯაროდ განიხილება საკრებულოში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი

ბიუჯეტის შემოსულობები

ჩვენ განვიხილავთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს 2023-2025 წლების მიხედვით, წარმოვადგენთ მათ სიდიდეებს, წილს მთლიან შემოსულობებში და დინამიკას ბოლო 3 წლის მიხედვით.



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და განათლების ღონისძინებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერები. ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2025 წლის მაჩვენებელი გაუტოლდება გასული წლის მაჩვენებელს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა 2019 წელს. აღნიშნული უკავშირდებოდა 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში ამოქმედებულ ცვლილებას, რომლიც მიხედვითაც, ერთის მხრივ, გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე, საშემოსავლო გადასახადის ის სახეები რომლებიც გასულ წლებში ირიცხებოდა ადგილობრივ ბიუჯეტებში აღარ ირიცხება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. ხოლო მეორეს, მხრივ ამოქმედდა გადასახადების განაწილების პრინციპი, რომლიც მიხედვითაც ადგილობრივ ბიუჯეტებში ჩაირიცხება დამატებითი ღირებულების

გადასახადიდან მობილიზებული თანხის 19%. ამ თანხის განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით ხორციელდება ასევე საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი წესით.



გრაფიკი #9



საგადასახადო შემოსავლების ამ რეფორმის მიხედვით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან უნდა მიიღოს 11 008,9 ათასი ლარი, რაც ქონების გადასახადთან ერთად ჯამში 17,2 მლნ ლარს შეადგენს. შესაბამისად, საგადასახადო შემოსავლების წილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლების 88% შეადგინა. 2019 წლამდე არსებულ მონაცემებთან შედარებით მთლიან შემოსავლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საგადასახადო შემოსავლების წილი, რაც დადებითი მოვლენაა მუნიციპალიტეტისთვის იმ მხრივ, რომ საგადასახადო შემოსავლების ზრდა კავშირშია ქვეყნის ეკონომიკის ზრდას. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის ზრდის პარალელურად მოსალოდნელია მუნიციპალური ბიუჯეტების და მათ შორის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდაც.

ვინაიდან 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ ეტაპისათვის არ ითვალისწინებს 2025 წლის განმავლობაში მისაღები ტრანსფერების მნიშვნელოვან ნაწილს, გრაფიკ #10-ზე ანალიზისათვის წარმოდგენილია 2024 წლის ბიუჯეტის ტრანსფერების შემადგენლობა.

გრაფიკი #10



სხვა შემოსავლები და კაპიტალური შემოსავლები ხარაგაულის 2025 წლის ბიუჯეტის მთლიან შემოსავლებში შემდეგი წლობრივი მაჩვენებლით არის წარმოდგენილი: სხვა შემოსავლები - 12% 2,180.0 ათასი ლარი), არაფინანსური აქტივების კლება - 0,4% (80.0 ათასი ლარი). ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა შემოსავლების სტრუქტურა მოცემულია გრაფიკ #11-ზე:

გრაფიკი #11



ნაშთის ცვლილება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია გადასახდელების დაფინანსებისათვის ნაშთის გამოყენებას ითვალისწინებს 0.5 მლნ ლარის ოდენობით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023-2025 წლების ბიუჯეტების შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განსაზღვრულია შემდეგნაირად:

გრაფიკი #12



ბიუჯეტის გადასახდელები პროგრამების და პრიორიტეტების მიხედვით

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის გადასახდელები განსაზღვრულია 20,182,6 ათასი ლარით (გრაფიკი #13).

გრაფიკი #13



გრაფიკებში #14-#15 მოცემულია 2023-2025 წლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ასიგნებები (მთლიანი ხარჯები) პრიორიტეტების მიხედვით, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე თითოეული პრიორიტეტი პროცენტულად მთლიან ხარჯთან. ხოლო გრაფიკზე #16 ანალოგიური მაჩვენებლები ჯამურად ბოლო 3 წლის მიხედვით (2023-2025 წლები).

გრაფიკი #14



გრაფიკი #15



2025 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები	ათასი ლარი
01 00	მმართველობა	6,176.1
04 00	განათლება	3,524.9
06 00	ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,049.2
03 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,998.1
02 00	ინფრასტრუქტურა	2,312.4
03 00	დასუფთავება და გარემოსა დაცვა	2,221.9

გრაფიკი #16



გრაფიკი #17



ინფორმაცია ყველა ზემოაღნიშნულ პრიორიტეტზე და მასში შემავალ პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ წარმოდგენილია გზამკვლევის შემდეგ ნაწილში.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია 6 176,1 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 30.5 %-ს შეადგენს. 2023-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #18-ზე.

გრაფიკი #18



2025 წელს გამოყოფილი ასიგნებებიდან ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	**6,176.1**
საკრებულო	1,323.8
მერია	4,522.3
სარეზერვო ფონდი	120.0
მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	75.0
კადრების გადამზადების ხარჯი	30.0
წინ აპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინასური უზრუნველყოფა	100.0
გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	5.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ასიგნებების წილობრივი მაჩვენებლები მოცემულია გრაფიკ #19-ზე.

გრაფიკი #19



ინფრასტრუქტურის განვითარება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 11 % გამოყოფილია ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 2 312,4 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. **კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტუტული პროექტებისთვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს.** 2023-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #20-ზე.

გრაფიკი #20



2025 წლის ბიუჯეტის პროექტით პრიორიტეტის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი პროგრამები:

გრაფიკი #21

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება - 2025 წელი

	პროგრამის / ქვეპროგრამის დასახელება	**სულ**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურა	1,250.0
02 02	წყლის სისტემები	230.0
02 03	გარე განათება	402.0
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	100.0
02 05	კეთილმოწყობა	130.0
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	200.4



საგზაო ინფასტრუქტურის განვითარება - პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, მუნიციპალიტეტში ახალი გზების, ხიდებისა და ხიდ-ბოგირების, ნაპირსამაგრების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას, საპროექტო და საექსპერტო-მონიტორინგის ხარჯების ანაზღაურებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 67% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაობის ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხუთი ქვეპროგრამა: გზების კაპიტალურ შეკეთება, გზების მიმდინარე შეკეთება, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება, ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

წყლის სისტემების მოვლა-პატრონობის - პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება ორი ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლით უზრუნველყოფა; საკანალიზაციო სისტემის განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა).

საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახრებით. ზოგიერთ შემთხვევაში კი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდანაც. აღნიშნული პროგრამით ეწყობა ჭაბურღილები, პროგრამა ასევე ითვალისწინებს დაბა ხარაგაულში და სოფლებში

ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას.

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების პროცესში გათვალისწინებული იქნება გენდერული საჭიროებები და სამუშაოების განხორციელების შედეგად მოეწყობა გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურა. წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის.

კეთილმოწყობა - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 34 ერთეული, საერთო 8700 კვმ ფართობის სკვერი და პარკი. მ.შ. დაბის ტერიტორიაზე 11 ერთეული, 6400 კვმ საერთო ფართობის ღია სივრცე. რეაბილიტირებული სკვერებისა და პარკების წილი შეადგენს 80%-ს. პროგრამის ფარგლებში, სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის მიზნით ხორციელდება მწვანე სივრცეების, ფეხით მოსიარულეთა ბილიკების, ატრაქციონების, ფანჩატურების და სხვა დასვენების და გართობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. 2025 წელს გაგრძელდება მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამა - პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრებით, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესების მიზნით, მათი მოთხოვნების შესაბამისად ხდება განსახორციელებელი პრიორიტეტების შერჩევა, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა მონაწილეობა, რათა შეხვედრების დროს გამოვლინდეს როგორც კაცებისა და ბიჭების, ასევე ქალებისა და გოგონების საჭიროებები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ხდება თანადაფინანსება. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ, სადაც გათვალისწინებულია გენდრული ასპრქტები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის ასიგნებების 11% გამოყოფილია დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 2,171.9 ათას ლარს შეადგენს. 2023-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა და მათი შეფარდება მთლიან გადასახდელებთან წარმოდგენილია გრაფიკ #22-ზე.

გრაფიკი #22



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტიდან ფინანსდება შემდეგი 3 პროგრამა:

დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება - 2025 წელი

დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1941.4
მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	265.5
უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	15.0
სულ	**2 221.9**

გრაფიკი #23



<u>დასუფთავება და ნარჩენების გატანა</u> - ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან. პროგრამის ფარგლებში განხოციელდა ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერების შეძენა. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი,სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორიცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება" ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინიტრაციული ერთეულიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 4 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი, 4 მძღოლი და 9 მტვირთავი მუშა. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 25-35 მ/კუბ ნარჩენი, რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 4 ნაგავმზიდი. პროგრამისთვის გამოყოფილი ასიგნებები ასევე მოიცავს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ,,დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებაის" ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის პერსონალის (მეეზოვეები, მძღოლები, მტვირთავი, მუშები, წყალანირების ჯგუფი, ზედამხედველების, დამლაგებლებისა და დარაჯების) ხელფასებს.

უპატრონო ცხოველების მოვლა-პატრონობა პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მაწანწალა ძაღლების აყვანა, დაჭერა და იზოლაცია. (დაჭერა უნდა განხორციელდეს თანამედროვე ძაღლსაჭერით და უმტკივნეულოდ, სათანადო ხელსაწყოებით, სპეციალური აღჭურვილობითა და ეკიპირებით.

გადაყვანა უნდა მოხდეს სათანადო მოწყობილობით აღჭურვილი ავტომობილით დროებით თავშესაფარში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების გატარების შემდგომ / ჯანმრთელი ძაღლებისათვის კასტრაცია/ სტერილიზაციის ჩატარება, რათა არ მოხდეს მათი გამრავლება/, ჯანმრთელი ძაღლების დანომვრა და მოსახლეობის მოთხოვნის, ან მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველების დაბრუნება ბუნებრივ არეალში, ან პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე.

განათლება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი განთლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 3,524.9 ათასი ლარს. პრიორიტეტის დაფინანსება ბოლო 3 წლის განმავლობაში წარმოდგენილია გრაფიკ #24-ზე. 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მონაცემები წინა წლებისგან განსხვავებით არ ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებასა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამებს, რომლებლთა დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფილი ტრანსფერით.

გრაფიკი #24



განათლების პრიორიტეტის ფარგლებში 2025 წლის ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია ოთხი ქვეპროგრამის დაფინანსება:

განათლების პრიორიტეტის დაფინანსება - 2025 წელი (ათასი ლარი)

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3,120.0
სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია	5.0
ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	141.9
სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	258.0
სულ	**3,524.9**

<u>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების პროგრამის დაფინანსება</u> - საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურუს შემოღება. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. სკოლამდელი აღზრდის სფეროში განსახორციელებელ პროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ ,, ე.კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება" ხარაგაულის მუნიციპალიტეტიში ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი და 6 სკოლისათვის მზაობის ჯგუფი. 2025 წლისათვის ბავშვთა რაოდენობა საბავშვო ბაღებში 450 აღსაზრდელს, ხოლო მზაობის ჯგუფებში 50 აღსაზრდელს ითვლის. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში დასაქმებულია 288 შტატით მომუშავე და 13 შტატგარეშე (ცეცხლფარეში). მათ შორის შტატით მომუშავეებში ქალი 265 და მამაკაცი 23.

ზოგადი განათლების ხელშეწყობა - ბორის საჯარო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სწავლას ახორციელებს, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. შესულია საჯარო სკოლის წესდების N 448 ბრძანების მესამე დანართში და ბავშვებს სთავაზობს პანსიონურ მომსახურეობას ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ადგილობრივი ბიუჯეტიდან წამოსული თანხები მთლიანად ხმარდება სკოლას პანსიონური მომსახურეობის განსახორციელებლად, სკოლაში დღეის მდგომარეობით 115 მოსწავლეა აქედან 9 მოსწავლე ათევს ღამეს, მათ შორის არიან უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და მზრუნველობა მოკლებული მოსწავლეები. პანსიონი გულისხმობს მოსწავლეების უზრუნველყოფას ღამის გათევით, კვებით და მკურნალობით, ასევე აუცილებელი ჰიგიენის ნივთებით და ტანსაცმლით, ამასთან ერთად ბავშვები, რომლებიც სკოლაში რჩებიან უზრუნველყოფილნი არიან საკანცელარიო ნივთებითა და სხვა სასწავლო რესურსებით. თუმცა მიუხედავად ამისა სკოლას ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული თანხის უმეტესი ნაწილი ხელფასებს ხმარდება, სკოლაში დასაქმებულია 48 თანამშრომელი და აქედან 24 ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება, ამის გარდა რაც ყველაზე მთავარია,

ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით სკოლა იზიდავს არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც სკოლაში სკოლის პანსიონური ტიპიდან გამომდინარე შემოდის და გარდა სკოლაში დამრჩენი 9 ბავშვისა, სკოლის ყველა მოსწავლეს უწევს დახმარებას, რაც გამოიხატება მოსწავლეების საჭიროებებზე, კერძოდ: ყოველწლიურად საზამთრო ქურთუკების, ბათინკების, სპორტულების, ბოტასებისა და ჯინსის შარვლების შეძენა, საკანცელარი რესურსების შეძენა, ჰიგიენური და სამეურნეო საშუალებებით მომარაგება, მედიკამენტებით მომარაგება, კვების პროდუქტებით მომარაგება, რაც საშუალებას იძლევა სკოლის ყველა მოსწავლემ უფასოდ იკვებოს. ბავშვების რეგულარული სამედიცინო გამოკვლევა, სკოლაში ბავშვთა ექიმის მომსახურეობა, წელიწადში ერთხელ ქუთაისის პირველადი ჯანდაცვის ცენტრიდან სპეციალური მოწვევთ (არასამთავრობოს მიერ) ექიმთა ბრიგადის მიერ მოსწავლეების სხვადასხვა სახის სამედიცინო გამოკვლევევები, ამ გამოკვლევების შედეგად მოსწავლეებისათვის საჭირო მედიკამენტების შეძენა, (უზრუნველყოფს არასათავრობო ორგანიზაცია). სკოლაში სამოქალაქო განათლების კლუბის ,,სმარტ კლუბის“ პროექტების დაფინანსება, (სოციალური, საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროექტების განხორციელება,), რაც ყველაზე მთავარია სკოლაში შემოღებულია სახელობო სწავლება, სადაც ბავშვები სწავლობენ: სტილისტის პროფესიას, კერვას, კომპიუტერის შემსწავლელ კურსებს . ეს ყველაფერი ბავშვებისათვის უფასოა და მათ მასწავლებლებს ხელფასებს არასამთავრობო ორგანიზაცია უხდის.

პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 2,998.1 ათასი ლარის გამოყოფას, რაც ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 15 %-ია.

გრაფიკი #25



პრიორიტეტის ფარგლებში 2025 წლის ბიუჯეტის პროექტიდან გათვალისწინებულია შემდეგი 5 ძირითადი პროგრამის დაფინანსება:

	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	**ათასი ლარი**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1070.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1713.1
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	105.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	80.0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30.0
	სულ	**2,998.1**

გრაფიკი #26



სპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება შემდეგი 3 ძირითადი პროგრამა:

	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	**ათასი ლარი**
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	20.0
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	800.0
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	250.0
	სულ	**1,070.0**

<u>სპორტის ხელშეწყობა</u> მუნიციპალიტეტის დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია 58 ადამიანი, 11 ქალი და 47 მამაკაცი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.დაგეგმილია სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა.

სპორტული სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა, აღჭურვა - ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელება: სტადიონებისა და მოედნებისა მინი მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია. სპორტული ტრენაჟორების მოწყობა. ასევე გაგრძელდება მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება.

გრაფიკი *<u>#27</u>*



კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე ჯამში გამოყოფილია 1 713.1 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება შემდეგი 4 ქვეპროგრამა:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

	ათასი ლარი
კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	1408.6
სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	253.8
ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	27.7
კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	23.0
სულ	**1,713.1**

გრაფიკი #28



კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა - აღნიშნული პროგრამით კუტურულ საქმიანობას ახორციელებენ მუნიციპალიტეტის ა(ა)იპები, მათ შორის სახელოვნებო განათლების ხელშეწყობას ა(ა)იპ „შ. ბუაჩიძის სამუსიკო სკოლა“, ა(ა)იპ „კულტურის, ხელოვნებისდა შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრი“, ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 1 კულტურის ცენტრი, 1 ისტორიული მუზეუმი, 25 ბიბლიოთეკა, ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი. ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამას ახორციელებს სსიპ „საქართველოს ფოკლორის სახელმწიფო ცენტრი“.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდული პრიორიტეტების გამოკვეთა, მათი შესაძლებლობების სწორად გამოყენება,ზრუნვის გაძლიერება, მათი ინიციატივების წახალისება, ბავშვებისა და ახალგაზრდების საზეიმო კონცერტების, სპექტაკლების, სხვა გასართობ ღონისძიებებში ჩართვა, არაფორმალური განათლების დანერგვა, მწერლობასთან და წიგნთან ახალგაზრდების დაახლოება, კულტურისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარება, თეატრალური, ქორეოგრაფიული და ვოკალური ხელოვნებისადმი ინტერესის გაღვივება. ამ პროგრამით ერთჯერადად წახალისდებიან ის პირები ვინც ერთიან ეროვნული გამოცდების შედეგად მოიპოვებენ სახელმწიფო დაფინანსებას (გარდა უფასო ფაკულტეტებისა) 100%-იანი დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში 500 ლარით, 70%-ინის შემთხვევაში 400 ლარით და 50 %-იანი დაფინანსების შემთხვევაში 300 ლარით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის ითვალისწინებს 2,764.2 ათასი ლარის გამოყოფას, რაც მთლიანი ბიუჯეტის ასიგნებების 15 %-ს შეადგენს.

გრაფიკი #29



2025 წელს პრიორიტეტის საერთო დაფინანსების 91 % მოდის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (2,760.3 ათასი ლარი), ხოლო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებზე - 9% (288,9 ათასი ლარი).

გრაფიკი #30



სოციალური დაცვის პროგრამებისათვის ხარაგაულის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 2,760.3 ათასი ლარის გამოყოფას.

სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (ათასი ლარი)

ერთჯერადი ფინანსური დახმარება	1,000.0
სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	500.0
უფასო სასადილო	281.3
სტიქიური მოვლენები	180.0
სადღესასწაულო დღეების დახმარება	100.0
შშმ პირთა დახმარება	90.0
ყოველთვიური დახმარება	80.0
მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	60.0
მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	45.0
ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	43.0
მარტოხელა მშობლების დახმარება	24.0
სხვა სოციალური პროგრამები	357.0
სულ	**2,760.3**

ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს, ფინანსურ დახმარებას. დახმარების ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 500 ლარისა.

სადღესასწაულო დღეების დახმარება - ქვეპროგრამის ფარგლებში ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფზე გაიწევა ფინანსური დახმარება: ჩერნობილის ა/ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებისას დაზარალებულებს გაეწევათ დახმარება 200 ლარით. 1989 წ. 9 აპრილს დაზარალებულებს _ 300 ლარით. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით _ 200 ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ღირშესანიშნავი თარიღების აღსანიშნავად გვირგვინების /თაიგულების და საჩუქრების შეძენა. საკვები პროდუქტის შეძენა ან ფულადი დახმარება უკიდურესად გაჭირვებული ოჯახებისთვის დღესასწაულთან დაკავშირებით.

სტიქიის შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა . ქვეპროგრამის ფარგლებში შემოსული განცხადების საფუძველზე შესაბამისი კომისია შეისწავლის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას და წარმოადგენს დასკვნას დაზიანების კატეგორიის მიხედვით. დახმარება გაიწევა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი და/ან სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლისთვის დაზიანების კატეგორიების შესაბამისად. ასევე, ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება უსახლკარო, განსახლებას დაქვემდებარებული,

მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრები და/ან ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით ან საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

უფასო სასადილო - პროგრამა ითვალისწინებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული სოციალურად დაუცველი მოხუცების, შშმ პირების, მრავალშვილიანი ოჯახების მორალურ და ეკონომიურ მხარდაჭერას. მოქალაქეთა ცხელი სადილით უზრუნველყოფას კვირაში ექვსი დღე ერთჯერადი კვებით დაბის ტერიტორიაზე (სადღესასწაულო დღეების ჩათვლით), ხოლო მუნიციპალიტეტის ოთხ ტერიტორიულ ერთეულში გამზადებული ცხელი საკვების მიწოდება კვირაში ორი დღე . ასევე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დახმარება უკიდურესად გაჭირვებულ მოწყვლად ჯგუფებზე საკვები პროდუქტებით მომართვიანობის შემთხვევაში .

გრაფიკი #31



ბიუჯეტის გადასახდელები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით

2023-2025 წლების მიხედვით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯამში დაიხარჯება 75 138,7 ათასი ლარი. ამ ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მოცემულია #32-ზე და #33 გრაფიკებზე:

გრაფიკი #32



გრაფიკი #33



როგორც გრაფიკებიდან ჩანს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბოლო 3 წლის ბიუჯეტის ხარჯების 32% (23.8 მლნ ლარი) კლასიფიცირდება სუბსიდიის მუხლით,

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით სიდიდით მეორე ბოლო 3 წლის მიხედვით არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი. ჯამში, ეკონომიკური კლასიფიკაციის ამ მუხლით კლასიფიცირდება 23,8 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 32%).

შემდეგ მოდის საბიუჯეტო კლასიფიკაციის შრომის ანაზღაურების მუხლი საიდანაც ბოლო 3 წლის მიხედვით ჯამში დაიხარჯება 9,9 მლნ ლარი, რაც მთლიანი ასიგნებების 13 %-ია და ა.შ. ინფორმაცია წარმოდგენილია #32 და #33 გრაფიკებზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების პროპორცია ბოლო 3 წლის მიხედვით მოცემულია გრაფიკ #34-ზე.

გრაფიკი #34

მიმდინარე და კაპიტალური ხარჯები 2023-2025 წლებში